ააიპ "ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები" საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 04 მარტი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ბუაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების და სამეურნეო სამსახურის უფროსი; საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გივი გოცაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" იურისტი, საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოადგილე.

გიორგი ჭუმბურიძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი; საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

კონკურსის მეშვეობით ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 35 - ვე ფილიალის შენობების (ცალ-ცალკე) კეთილმოწყობის; საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგების და 31-ე ფილიალში შენობის კონსტრუქციული მდგრადობის ამაღლების სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება. (საკონკურსო წინადადების თანხა 5000 ლარი)

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის მოადგილემ გიორგი ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები
2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 10 მარტს 12:30 სთ-ზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2014 წლის 10 მარტი 10 საათიდან 12 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანება" (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №, მე– 2 სართული, ოთახი №3).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge მეშვეობით

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:	გიორგი ბუაძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	გივი გოცაძე
კომისიის წევრი:	გიორგი ჭუმბურიძე